ბრძანება:**ბ41.41212111**

თარიღი:**30/07/2021**

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოში 2021 წლის 28 ივლისს სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატის მიერ შემოტანილი მოხსენებითი ბარათის საფუძველზე (სარეგისტრაციო NN41-41212097) - ,,სენაკის მუნიციპალიტეტის ზემო-ჭალადიდის ადმინისტრაციული ერთეულის უსახელო ქუჩის სახელდების თაობაზე“ - სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომაზე დღის წესრიგის შესაბამისად განხილულ იქნა საკითხი – სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოში 2021 წლის 28 ივლისს სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატის მიერ შემოტანილი მოხსენებითი ბარათის საფუძველზე (სარეგისტრაციო NN41-41212097) - ,,სენაკის მუნიციპალიტეტის ზემო-ჭალადიდის ადმინისტრაციული ერთეულის უსახელო ქუჩის სახელდების თაობაზე“ - სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე.

საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს VII თავის, სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 2021 წლის 30 ივლისის სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოში დაწყებულ იქნეს ადმინისტრაციული წარმოება - ,,სენაკის მუნიციპალიტეტის ზემო-ჭალადიდის ადმინისტრაციული ერთეულის უსახელო ქუჩის სახელდების თაობაზე“.

2. ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი მიღებულ იქნეს 2021 წლის 28 ნოემბრამდე.

3. სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოში 2021 წლის 28 ივლისს სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატის მიერ შემოტანილი მოხსენებითი ბარათი (სარეგისტრაციო NN41-41212097) - ,,სენაკის მუნიციპალიტეტის ზემო-ჭალადიდის ადმინისტრაციული ერთეულის უსახელო ქუჩის სახელდების თაობაზე“ განსახილველად გადაეცეს სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიას.

4. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარეს – თათია ჯინჯოლავას და სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს აპარატის უფროსს – ვეფხვია რუსიას.

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 177-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად სენაკის რაიონულ სასამართლოში (მის.: ქ. სენაკი, შ. რუსთაველის ქ. №247).

ბადრი კალანდარიშვილი

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს
თავმჯდომარის მოადგილე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ქ.სენაკი,4100 შ.რუსთაველის ქ.№243 243, Sh.Rustaveli Str., Senaki, Georgia ტელ: 0413 27 60 60, 27 50 16 ელ-ფოსტა: sakrebulo.senaki@gmail.com ვებ: www.senaki-sakrebulo.gov.ge